

საქართველოს ოქცონი — 6 მან., თვეში — 75 კაპ., ცალკე ნომერი — 3 კაპ., ფასი განცხადებისა: ლებრივი სტრიქონი „პეტრიტი“ პირველ გვერდზე — 10 კ. მეორეზე — 5 კაპ.
თბილისი-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „კომპანია“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში
ქ. № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა აზნაურო-ბრუნის (ქვეშეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოწერული წერილები არ დაიბეჭდებიან. — დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელბაზე უნდა გა-
მოგზავნოს. — პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ ღამე, კვირა-უქმების გარდა,
11 საათიდან 1-ლ საათამდე.
რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის ღიდ ქუჩაზე, მარტორუთის სახლში, № 27.
ფოსტის აღმნიშვნელი: Тифлисъ, въ редакцію „Цხოიის-ბურქელის“ — „მოამბე“. ტელეფონი № 372

თავ. რაფიელ ერისთავის
პატივისცემით მოგზავნილ ოთხშაბათს, 28 თებერვალს, დაუფიქარ პოეტის
გარდაცვალების მე-9 დღეს, ქვეშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღაც გადა-
ხდილ იქნება პანაშვიდი. (1-1)

თბილისის საურთიერეთო კრედიტის სამუგა-
დოების გამგეობა
პოეტის ცემით განაცხადებს, რომ ამ
ტის ოცდა ხუთს, საღამოს შვიდს სათ-
დანიშნულია ამა საზოგადოების წევრ-
თა ყოველთაო კრება.
მა კრების გასარჩევად დანიშნულია შემ-
თქმეები:
1) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა
გადამგების ოპერაციებზე წარსულის 1900
წლის განმავლობაში და დამტკიცება მონა-
შის განაწილებისა.
2) დანიშნა რიგისა და ზომისა იმ გასა-
გელოსათვის, რომელიც უნდა მიეცეს
თბილისში თანამდებობის პირთ.
3) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ აღრი-
შისა 1901 წლისათვის.
4) არჩევას წესდების თანახმად, გამო-
ღთა მაგიერის ორი რიგის დეპუტატის,
ეობის თავმჯდომარისა და აგრეთვე სარე-
თო კომისიის წევრებისა და ამ უკანას-
ღთა კანდიდატებისა და სხვა თანამდე-
თ პირთა, თუ რომ ეს საჭირო აღმოჩნ-
და როგორც წერილები, ისე ვეჭილობები უნდა
ვიდეს საზოგადოების გამგეობას კრებამდინ
ს დღით წინ მიანიც. (5. 1-1)

პანაშვიდები რაფიელ ერისთავის სულის
მოსახსენებლად.
გ ა ზ ე გ ვ ა რ დ ა ნ :
სადგურ განჯადან: „25 თებერვალს, სა-
დგურის ეკლესიაში, წირვის შემდეგ, გა-
რდახდილ იქმნა ქართულს ენაზე, თავ: რა-
ფიელ ერისთავის დასაფლავების დღეს, პა-
ნაშვიდი. ქართულად გალობდა რამდენიმე
ქართველ მამაკაცთა და დედაკაცთაგან შემ-
დგარი გუნდი მღვათიანე კვალიაშვილის
ლოტბარობით. პანაშვიდს დაესწრო სა-
დგურზე მცხოვრები ქართველი საზოგადოე-
ბა. პანაშვიდის დაწყების წინედ მღ. მი-
რიანიშვილმა მოკლე და გრძნობით სავსე
სიტყვაში გააცნო დამსწრეთ რაფიელ ერის-
თავის მოღვაწეობა.“
ქ. განჯადან: „დღეს, 25 თებერვალს,
საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქმნა პა-
ნაშვიდი ქართულ ენაზე გარდაცვალებუ-
ლის პოეტის რაფიელ ერისთავის სულის
მოსახსენებლად. გალობდა პატარა გუნდი
ქართულად. პანაშვიდზე დაესწრო ადგილო-
ბრივი ქართველობა. გვირგვინის გაგზავნის
მაგიერად აქაც გადაწყვიტეთ მოვარო-
ვით ფული და მიუშატოთ ეს ფული ფონდს,

რომელიც არსდება განსვენებულის სახელ-
ზე. გარდა ხელის-მოწერით ფულის მო-
გროვებისა, ვფიქრობთ გაზაფხულზე გავ-
მართოთ სალიტერატურო-დრამატული სა-
ღამო. უმთავრესი ყურადღება ექმნება მი-
ქცეული რაფიელ ერისთავის ნაწარმოებს.
საღამოს შემოსავალიც მიემატება შემოსე-
ნებულს ფონდს.“
პაქადან: „დაუფიქარის პოეტის რაფიელ
ერისთავის დასაფლავების დღეს, კვირას,
25 თებერვალს, აქაურს ალექსანდრე-ნეველის
საკრებულო ტაძარში გადავიხადეთ პანაშვი-
დი, რომელსაც დაესწრო ადგილობრივი
ქართველობა.“
ბათუმიდან: „25 თებერვალს ბათუმის
საკრებულო ტაძარში, წირვის შემდეგ,
გადახდილ იქმნა პანაშვიდი გარდაცვალებუ-
ლის თავ. რაფიელ ერისთავის სულის მოსა-
ხსენებლად. აქაც, როგორც თბილისში,
ქართველმა საზოგადოებამ გადაწყვიტა, გვირ-
გვინებისა და დეპუტატების გაგზავნის მაგი-
ერ, შევარგოს ფული განსვენებულის პოე-
ტის სახელზე რამე კეთილ საქმის მოსაწ-
ეობად.“

დეკლარაცია
(„რუსეთის დემოკრატია საგენერალსაგან“)
25 თებერვლი.
ფილიპოვლი. კონსტანტინეპოლიდან
იუწყებინა, რომ პოლიციამ მოსპოა სტამ-
ბოლის სხვა-და-სხვა ადგილის სარეგულირ-
ციო განცხადებანი, რომელშიაც განკიცხუ-
ლია აწინდელი სამეფოს მმართველ-გამგეობის
წესები და გამოთქმულია მუქარა, რომ ძალ-
მომრეობას უპასუხებენ ძალ-მომრეობითვე.
(საღამოს დემოკრატია იხილეთ მე-4 გვერდზე)

ყურნალ-გაზეთებიდან
რუსულ გაზ. „ნოვოსტა“-ს შემდეგი დე-
კლარაცია მოგვითხრობს 20 თებერვლის
რიცხვით:
„დონდონში ამჟამი მოვიდა, რომ პოეტა თა-
ნასხა პრძალაზე ხელი აიღოს, თუ ინგლისი
მიიღებს შემდეგს პირობებს: ევგენ ტრეპუ-
რევი უნდა განთავისუფლდეს, უნდა გამოცხად-
დეს, რომ აფრთხილება (კაპის ახალშენის მცხო-
ვრებლები) დაუსჯელად დატყვევდა, სამხრეთ-
აფრიკის რესპუბლიკებს უნდა მიეცეს სრული
ავტონომია ინგლისის პრეტექტორატის ქვეშ
და ბურებს ევგენ ჩამოაშეშელოს მამული და ქო-
ნება უნდა დაუბრუნდეთ. ხოლო დემოკრატია არ
სთანხმდება ამ პირობებს: ის ამბობს: დაუ-
სრულებელი კანკარაობა პრეტორიანულ ომსაა.“
მეორე რუსულ გაზეთის სწორედ დონდონ-
დანვე:
„აქ მოვიდა კაპის ახალშენის თინასხის მი-
ნისტრად ნამეფო მედიანა მეორე მინისტრ-
თან ზაუერთან ერთად. ამითი მისვლის საგანი
არის — აუსხსნა მთავრობისა და პრეტორიანულ
სამხრეთ-აფრიკის სამხრეთ-აფრიკაში. მე-
დიანა ტომით ინგლისელია; ის ზომიერ აფრი-
კანელების წარმომადგენელია. ამით უნდათ,
რომ სამხრეთ-აფრიკის მტკიცე კავშირი ქვეყნის
ინგლისთან, მაგრამ სიძულთ მიღწერა და რადისი.
მედიანის აზრით, თუ ინგლისმა ბურების ორივე
რესპუბლიკა ახალშენად გადაქცია და იქ სამ-
ხედრო მმართველობა დაწყოს, მაშინ ინგლისი
სამუდამოდ დატყვევდა მთელს სამხრეთ-აფრიკას.
როგორც პრეტორიანელები, ისე იქაური ინგლი-
სელებიც, ახალშენს არ დასთანხმდებიან, რომ
იმით ჩამოერთათ ის უფლებანი, რომლებსაც
ისინი დიდი ხნობით შეჩვეულები არიან. მედი-
ანის აზრით, საჭიროა, რომ სამხრეთ-აფრიკაში

ველექონი
გოგონებანი*)
დღამო ქართულ დრამატულ სცენის დაარსებიდან)
დასის მოგზაურობა საქართველოს
დაბა-ქალაქებში.
თბილის ათ საათზე აბარებულები მივე-
თ პატარა ნავთ-სადგურთან, სადაც გა-
გაღებული კობრა ორთქლმავალი-გემი
„მუშა“ იდგა და ოზნივარი ასდიოდა,
განაც წასასვლელად ემზადესოდა. ავი-
თ ბილეთები და ავედით გემზე. ჩვენ
თანა ბილეთები ავიღეთ, რომლებშიაც
წილის ფულსაც ანგარიშობენ. დაუწყეთ
მინჯვა-თვლიერება; გემის უფროსი
ის ზრდილობით გაგვიძღვა წინ და
ლაფერი დაწერილობით გვაჩვენა და ავი-
თ: მშვენიერად მორთული პატარა ოთა-
ნი (კაიუტა), სასადილო ოთახი, ქალების
კაცების ცალკე განყოფილებანი, მანქა-
ნი, რომელიც გემს ამოძრავებს და სხ.;
ნაღატაებში მოვედით ამ წეს-რიგის
საოცარი სისუფთავის გამო. ამაზე უმ-
ნიერესი აღარა გვეგონა-რა; მაგრამ შე-
ნა, როდესაც ენახეთ დიდი გემები რუ-
სული, ფრანგული და ინგლისური, ეს უზარ-
ბარი ქარვასლები სამ-სამი სართულით,
მინ კი სულ დაგვიწყდა ჩვენი განსვენ-
ებული „მუშა“. ეს ბორბლიანი გემი

იყო. ქალაქში წისქვილებს დიდი ბორბლე-
ბი რომ აქვს, ორი იმისთანა ბორბალი
ჰქონდა „მუშას“ აქეთ-იქით შუა გულ-
ზე. ამ ბორბლებს მანქანა ამოძრავებდა და
პატარა გემი სწრაფად გარბოდა ზღვაში.
ესლა ბორბლიანი გემები სულ აღარ არის
ხმარებაში და ან თუ არის, ისიც ნავთსად-
გურებში სამუშაოდ. ესლა დიდებული „მუშა-
ნიკიანი“ გემები და საოცრად მსწრაფლ-
მავალი.
მესამედ დაიქცილა მანქანამ და უცბად
გადატრიალდნენ ბორბლები, წყალი აღდგა,
აქაფდა, და ნელ-ნელა მოგვორდით ნაპირს.
ამ პირველ დამკრახე ისეთი რაღაცა ვიგო-
ბენით, თითქო გულს გვეფერებოდა. ბევრი
მაშინ სიამოვნებით გადმოხტებოდა ნაპირ-
ზე, მაგრამ ესლა ვილა გავვიშვებდა. შე-
დრკენ ჩვენი ქალებიც და მოაყოლეს, რაც
კი ლოცვები იცოდნენ. მთელ გემზე საზო-
გადო გულ-მსურვალე ლოცვა და ღვთისა-
დმი ჭლადი მოისმა. მალე რიონმა ზღვას
ჩააბარა ჩვენი პატარა გემი. ეს კი სულ სხვა
სანახავი იყო: დაუსრულებელი წყლის სი-
ვრცე და შორს, საღაც ცის დასავალში
წყალი და ცა შეერთებული. მარცნივ კი-
დევ ვარჩევდით წყლის ნაპირს, მაგრამ ეს
უფრო მოშავო ღრუბლებს გვანდა, ვიდრე
ხმელეთს. ამ გვარად ზევით ცას შევსტე-
როდით და ფეხ-ქვეშ წყალსა. მშვენიერი
დარი დაგვიდგა, და კაი დარში ზღვაში მო-
გზაურობაზე უსიამესი არაფერი არ არის.
მივსრიალებდით დინჯათ, შეურყევლად ამ
კამკამ ლურჯ წყალში. თვალს შევჩვიდა

წყალს, გულს კეწვანი გადაეყარა და თან-
დათან თავისუფლად სუნთქვა დაიწყეთ...
ენაც ამოვიდით და კვალად ავტებეთ თი-
ვილი-ხივილი და ტბილი საუბარი. ავე-
დით მალა, უფროსის ბინაზე, და იქიდან
გადავყურებდით, როგორ ხტუნობით და
ყირა-ყირა გადასვლით მოსდევდნენ ჩვენ გემს
ზღვის ღორები (დელოფინები). კაი დარში
მთელი ჯოგები ირევა ამ ღორებისა; ამოხ-
ტებიან წყლიდან, გადაკოტრაილდებიან
პაერში და კვალად ჩაიკვიან წყალში. ჩვენ
ძალიან ვმხიარულობდით ამ თამაშით, ხან
პურის ნატეხებს ვესროდით გემიდან, ხან
პაპირის კოლოფებს და ხან რას. ბავშვ-
ბივით გვიხარბოდა და ვხარხარებდით.
დანიშნულ დროს მიგვიწვიეს ჯერ საუ-
ზმეზე და მერე სადილზე. ჩვენ გაგვაცა
საქმელების სიუხვემ: საუზმეთ ოთხი-ხუთი
თავი საქმელი და სადილად რვა თავი. სა-
სმელები როგორც და რამდენიც გვინებ-
და: ღვინო, ლუდი, არაყი, კონიაკი, ყა-
ვა... ფოთიდან ბათუმამდის სულ ქამაში
ვიყავით. მაგრამ რა საქმელები და როგორ
მოშადებული, მეტადრე ათასგვარი თევ-
ზეულობა! გემის უფროსი ჩვენთან სადი-
ლობდა, გვთავაზობდა და თან შეგვნიშნა-
ვდა, რომ ძალიან კარგია, ვისაც ზღვაში
ქამის მაღა კარგი აქვსო. სასმელები ხომ
რა სათქმელია; რომ იტყვიან, ოხრაღ იყო.
მაშინ იმისთანა დრო იყო, რომ საზღვარ-
გარეთელი სასმელები ჩაღის ფასად ღირდა:
პირველი ხარისხის კონიაკი, ესლა რომ
თორმეტი მანეთი ღირს, მაშინ 1 მ. და

50 კ. ღირდა. საუკეთესო შამპანიური 2 მ.
და 50 კ. არ ასცილდებოდა.
მივახლოვდით ბათუმს, გავუარეთ თამა-
რის ციხეს და ნეტარებით დაუწყეთ ცქე-
რა. გულის წარმტაცია ბათუმის ეს მილა-
მოები თავისი ბუნებრივი სიდიდით. შე-
ვედით ნავთსადგურში და ჩვენს გემს ქიან-
ქველებივით შემოეხვია პატარა ნაგები (ფე-
ლუგები) თავის მარჯვე პატარა თათრის
და არაბის ბიჭებით. ეს პატარა ნაგები ისე
მარად დაძვრებოდნენ გემზე შუა და ქუუ-
პალობდნენ წყალში, როგორც იხვები.
კანკალით ჩამოვედით გემის საქანაო კიბე-
ზე, ჩამოგვიზიდეს ბარგი და ჩავუსხედით
პატარა თათრებს ნაგებში, რომლებშიც უც-
ბად მოგვიტაცეს და ნაპირზე გამოგვიყვა-
ნეს. აქ აუარებელი ხალხი დაგვხვდა საზო-
გადოდ და კერძოდ ჩვენი მომლოდინენი.
ბათუმი ახალი აღებული იყო, მინგრეულ-
მონგრეული, სახლის კედლები ჯერ კიდევ
თოფისა და ყუმბარის ტყვიით მოქედილე-
ბი და დახვრეტილები. მაშინდელი ბათუმი
ესლანდელ ჩვენს ქალაქის აბანოების უბანს
და აშაშხანას მოგავონებდათ თავის რამ-
დენიმე მინარეთით, თუმცა რამდენიმე ევ-
როპული სასტუმროც მოიპოვებოდა რი-
გიანად მოწყობილი, მეტადრე ფრანგული
სასტუმრო „ფრანცია“. მაგრამ სიცოცხლით
კი სდულდა ეს ნაოსნაღეთარი ქალაქი: ვა-
კრობა გაცხარებული იყო, ყავახანები და
ლუღხანები ხალხით სავსე, მოძრაობა დი-
დი, გახურებული მუშაობა ახალ შენობებ-
ზე, ნავთსადგური რუსის და უცხოელ გე-

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1387.

გამოცემათ ახლოკალაქის მარის სოფლის მცხოვრებთა მდგომარეობა—
მეზანი, რომელიც დაზარალებულნი
მოუსახლობით. ბ-ნ ქალანთარის გა-
ლევი, დაზარალებულნი მცხოვრებნი
მოგვებიან სამ ნაწილად: 1) მესამე-
დაზარალებულთა ყოვლად უნებულო
გარეობაშია, ასე რომ არ გააჩნიათ
თავი სახსარი თავის გამოცემისა, 1/2
ნაკლებ და 1/10 კიდევ უფრო ნაკ-
ლები; დაზარალებულ მცხოვრებთა ახლო
სოფლებში არის საზოგადო პური,
მ, მათ რადგანაც მის შესაძენად საშუა-
რო არ ჰქონიათ, მომდგომი და უყიდათ
გური პირუტყვები და როცა ეს შემო-
დის, მერმედ სახლები და სხვა ქონება-
სყიდნით, და დღეს კი დაზარალებუ-
ლმარავლებს ისეთ მდგომარეობაშია,
დღეს არ იცის—ხედავს ექმნება რამ სა-
ბოლო თუ არა; ამას გარდა გაუყიდნით
საქონელი და რომ ჰქონდეთ კიდევ
სხვა პური, ყანებს ვეღარ სთესვენ. უმე-
რესა გლეხებისა იმ აზრზედ დამდგარა,
წყელს რაც შეიძლება ნაკლებ დასთე-
ვს პური იმის მოლოდინში, რომ მაინც
საბოლოო აპრობს უმეტესად სთესონ კარ-
გილი, კანაფი და სხვა მისთანა მცე-
ნები, რაც ნაკლებ გაუქმდება მწე-
რან. როგორც გამოუჩინებელია, და-
ზარალებულთაგან 250 კაცს შეუძლიან
შოა იშოვნოს ახლო მარის სოფლებში
გამორჩეს რამეს, 500 კაცს იმ სახლების
გაზაფხუ, რომელიც ეხლა ხან შენდება
საძირისაგან დაზარალებულთათვის, 50
კაცი დიდის მთავრის მამულიდან ახლოკა-
ლას მარაში ხე-ტყის გადმოზიდვით, ხო-
ლო 100—150 კაცს შეუძლიან სამუშაო
შენიშნოს სამხედრო ჯარის იმ სადგომების
გაზაფხუ, რომელთაც ეხლა შესდგო-
ა აღნიშნულს მარაში. რადგანაც
დავლესობა, ამისდა მიუხედავად, ბევრი
მიზეზებისა გამო უშეშეოდ რჩება,
გაზაფხუ აღიძრა კითხვა—გამართონ ხელის
ქრა და ამ სახით შეადგინონ თანხა მო-
სახლობით დაზარალებულთათვის, ასე
როცა ამის შემდეგ მიწის
საგან დაზარალებულთა სასარგებლოდ
გაგა, ჩარიცხონ მოუსახლობით დაზარალებ-

ნახვა, რომ ძვირფასი საჩუქარი მიართვა
ისტ ქალს.
შინდელი ჩვენი დროს გატარება ბა-
ში სწორედ დაუფიქარია. ქართველი
ცოცხალი ყოველ დღე კავალკადას გვი-
თავდა; გამოგვიგზავნიდნენ საუკეთესო
ნებს, შეესხდებოდათ ქალი და კაცი და
სწავლით თამარის ციხისკენ და „გორო-
ში“, სადაც ყოველთვის მშვენიერი სა-
მე გველოდა. „გოროდოკი“ რუსების
შემოსი იყო და მაშინ იქ სულ რუსები
მოკრებდნენ. იმ დროს გაცხარებული
მობა იყო ბათუმის ახლო-მახლო მთებ-
ში, სადაც საარტილერიოა სიმაგრეებს
განდებდნენ. სწორედ საგულისხმო იყო ამ
მოვლური სიმაგრეების დათვალიერება,
მელთაც ესეთი დიდი მნიშვნელობა აქვთ
ის დროს.
გაციანით აგრეთვე და დაუახლოვდით
თველ ბეგებს, რომელთაც ძალიან მოვ-
ინდით და სიამაყით მოგვითხოვდნენ თა-
შთამომავლობას და მამა-პაპის გათათ-
ბის ამბავს. ხშირად მიგვიწვევდნენ ყა-
ნად (მაშინ იშვიათად თუ ვინმე სვამდა
არ სასმელს; ეხლა კი იშვიათი თათარი
სვამს), მოგვისხდებოდნენ გვერდით და
გვიწყობდნენ ჩვენი ქვეყნის ბედ იბალებდ
საზარაკს; გამოგვკითხავდნენ ჩვენი ცხოვ-
რის ავ-კარგს, სწავლა-მეცნიერების გავრ-
ცელებას საქართველოში, ეკონომიურ
განვითარებას, პოლიტიკურ განწყობას და
ლაპარაკობდნენ ძველი ქართულის ენით
დაზნაობით, კილო კი გურული ჰქონდათ; ლა-
პარაკობდნენ ჩვენი ქვეყნის ბედ იბალებდ
საზარაკს; გამოგვკითხავდნენ ჩვენი ცხოვ-
რის ავ-კარგს, სწავლა-მეცნიერების გავრ-
ცელებას საქართველოში, ეკონომიურ
განვითარებას, პოლიტიკურ განწყობას და
ლაპარაკობდნენ ძველი ქართულის ენით
დაზნაობით, კილო კი გურული ჰქონდათ; ლა-

ბულთა დასახმარებელ ფონდის გასაძლიერ-
ებლად; ამასთანავე კომიტეტმა გარდა-
სწყვიტა აღებული იქნეს სესხად 6,000 მა-
ნეთი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა
დამხმარებელ ფონდიდან, ისე რომ 3000
მანეთი მოუსახლობით დაზარალებულთა
გამოცემის საქმეს მოხმარდეს, ხოლო 3000
მან. მათთვისვე სათესლე ხორბლის ყიდვას.
კომიტეტმა ამავე სხდომაზე დაადგინა გადა-
ტანილ იქნეს ტფილისის გუბერნატორის
განკარგულებაში კომიტეტის საშუალები-
დან (116000 მ.) 80,000 მანეთი, რომლი-
თაც უნდა ეხლავი შეუდგენენ მიწის-ძვრი-
საგან დაზარალებულთა სახლების აშენებას.

◆ სამიწად-მოქმედო სამინისტროს გა-
დაუწყვეტია გაფართოვოს ქუთაისის გუ-
ბერნიის სამეურნეო სადგური იმ განზრახ-
ხვით, რომ შვიი ზღვის ნაპირას სცადოს
ჩაის ხის მოშენება.

◆ იმავე სამინისტროს აღუძრავს საკით-
ხი კავკასიის სახაზინო ტყეების მცველთა
და მოხელეთა მდგომარეობის გაუმჯობესო-
ბის შესახებ. სხვათა შორის, განზრახულია
მოუმატონ ჯამაგირები, რათა უფრო მომ-
ხადებული პირნი მიიწვიონ სამსახურში.

◆ უმთავრეს საფოსტო უწყებას განზრ-
ხვა აქვს შეამციროს წერილების გასაგზავნ
მარკის ფასი 7 კაპეკიდან 6-მდე.

◆ ადგილობრივ საფოსტო დაწესებულე-
ბათ მიენდო თვალყური ადევნონ ღია წერი-
ლებს, რომ ლანძღვა-გინება არ იყოს ამგვარ
წერილებში. ფოსტის განყოფილება-კანტო-
რის უფროსებმა, თუ შეამჩნიეს ამგვარი წერი-
ლი, არ უნდა გაუგზავნონ აღრესატებს.

◆ ტფილისის ზოლიცემისტრმა შენიშნა
მისცა ზოლიცემის მე-9 ნაწილის ბაჭყალს იგ-
ნოვს, რადგანაც ამ ნაწილის მოხელეთა აზრ-
სათა ზოლიცემისტრის ზოგიერთი განკარგუ-
ლება.

◆ სადგურ ხაშურთან გვწერენ: „25 თებერ-
ვალს, დღის 11 საათზე, სადგურ გამოდნ
მომავალ მატარებლის № 271-ის სადგურ ხაშუ-
რში შემოსვლის დროს, ორთქლ-მაგალი და სა-
ში ვაგონი რეკსეს კადასდა და გაფუჭდა გზა.
ამ მიზეზით მატარებელთა მიმოსვლა გომისა და
მისადავს შუა შეჩერებულ იქნა შემოსავლელი
გზის გაკეთებამდე. ორთქლ-მაგალი და გაფუჭ-
დავი ვაგონები დაიშრნა. უმთავრესს დაინ-

გვითხრა ერთხელ: „ყმაწვილებო, ძალიან
მიხარია, რომ კარგ ქართველებს გიყურებთ,
მაგონდება ჩვენი წინაპრები, ჩვენი ერთი
რჯული, მაგრამ ეს კი ძალიან არ მომ-
წონს, რომ თავზედ ქუდის მაგივრად ღო-
რის ტუჩი გადევით!“. ჩვენ საზაფხულო
„ქარტუზები“ გვცხურა, თქვენი ღვთის
გულისთვის,—განაგრძო იმან,—გადაყარეთ
ეგ ღორის ტუჩები და მე უკეთეს ქუდებს
დაგხურავთ“. ყველას დაგხურა ძვირფასი
წითელი ფესები. ამ ფესებს ჰქვიათ „სულ-
თანის ფესა“, რადგანაც უბრალო მომაკე-
დავისათვის ძალიან ძვირია ეს ფესა (8—9
მანეთი) და მხოლოდ წარჩინებული პირები
და გვარიშვილინი ხმარობენ. ჩვენ, რასაკვირ-
ველია, ხატრი არ გავუტყებთ და ჩვენი თეთ-
რი ქუდები იმისივე თვალწინ ზღვაში ვის-
როლეთ. ბეგის სიამოვნებას საზღვარი არა
ჰქონდა. დავიხურეთ წითელი ფესები ქუთა-
ისში შეკერილ ხალათებზედ და ამ მორთუ-
ლობით რაღაც უცნაური კუნძულის მცხოვ-
რებლებს წარმოვადგენდით.

ღამე კიდევ თავისებური დროს გატარება
გვქონდა. ჩავსდებოდით რამდენიმე ნავში
ჩვენი დასი მთლიან და რამდენიმე თავმოყ-
რილი ყმაწვილი კაცი, ერთ ნავს ხორავით
და სასმელებით აავსებდნენ და გავიდოდით
ზღვაში 2—3 ვერსის მანძილზედ ღზინით,
ქეფით და სიმღერებით. სწორედ აუწყრე-
ლია ეს სიამოვნება ამ კაშკაპ მთვარიან ღა-
მეში, მოკრიპლებულ-მოწმენდილ და სხიო-
სანი ვარსკვლავებით მოჭედოლს ცის ქვეშ
ზღვაში.
ოჯახურ დროს გატარებასაც არ ვიყავით
მოკლებულნი. როგორც ზევით მოგახსენეთ,
ბ. დურმიშან ქურულის ოჯახი ხომ იყო

დაგზე მოძრაობა შემოსავლელი გზით დადგო-
ნეს 25 თებერვალს, ნაშუადღევს 4 საათზე.

◆ სადგურ შარანთან გვწერენ: „25 თე-
ბერვალს, საღამოს 7 1/2 საათზე, ჟანდარმმა კო-
სიანუკმა შენიშნა ორი ჯიბი, სადგურის დაინ-
დავებს შორის მიმავალი, და გამოუდგა მათ.
ისინი ლუდსახისკენ წავიდნენ; ჟანდარმი იმათ
ვინაობის გასაგებად გაჰყვა. დაინდავებზედ
ამათ შემოხვდა მესამე კაცი, რომელმაც ჟანდარმს
რევერვერი ესრფა და თქოში დასჭრა. დამ-
ნაშაყნი გაიქცნენ, ხოლო დაჭრილი ჟანდარმი
ტფილისის ჯანჯარეთში გამოგზავნეს.

თ ე ა ტ რ ი

ოჯახი „ფილოგია“. მუსიკა გაღვივდა.
25 თებერვალს სახაზინო თეატრში გა-
სტროლიორის დიუკის მონაწილეობით და-
სდგეს ოპერა „ფილოგია“. ეს საღამო ტე-
ნორი დიუკისათვის სადღესასწაულო საღა-
მით უნდა ჩაითვალოს, რადგან კარგა ხანია
არც საზოგადოებას, არც ორკესტრს და არც
თვით მის თანამომღერალთ-მოთამაშეთ ისე-
თის თანაგრძნობით, გულ-მხურვალის აღტ-
ყებით არ მიუღიათ, როგორც გუშინ მიიღო
ერთმაც, მეორემაც და მესამემაც ტენორი
დიუკი. დიუკი ძლიერი, სასიამოვნო ტენო-
რია და ამასთან ჰქვიათ და დახელოვნე-
ბული არტისტი. განსაკუთრებული ღირ-
სება მომღერალი არტისტისა სწორედ იმა-
ში მდგომარეობს, რომ ერთიც და მეორეც
სავსებით ჰქონდა. ოპერა „ფილოგიაში“ დიუკ-
მა დამატეცა, რომ ხმასთან ერთად თამაშო-
ბის უნარიცა აქვს. დიუკი მღეროდა ელე-
ზარის პარტიას. მეოთხე მოქმედების პირ-
ველ სურათში „რაპილ, შენ ზეცისაგან
ხარ მოვლენილი!“ უნაკლოდ, შეუმოკლებ-
ლად იმღერა. საზოგადოდ არტისტები შეა-
მოკლებენ ხოლმე ამ ადგილს, რადგან ხმა
არ შესწევთ. დიუკმა თავისუფლად გაატარა
მთელი ეს ადგილი და ხანგრძლივი ტა-
შის ცემა გამოიწვია საზოგადოებისა. რა-
ხილის პარტიას მღეროდა ასტაფიევისა,
რომელსაც აკლია ხმის შემუშავება. ეს
შეეტყო მეორე და მესამე მოქმედებაში
მაღალ ნოტების აღებაზე; ტფილისის საზო-
გადოებისათვის ახალი იყო აგრეთვე მომღე-
რალი ქალი დევის სობოლევა, რომელმაც
გრძნობით გაატარა თვის მოკლე როლი

და იყო ჩვენთვის მუქტი სასტუმრო, არც სხვა
ოჯახებმა დაგვტოვეს უყურადღებოდ. ამ
ოჯახებში პირველი ადგილი ეჭირა დიდად პა-
ტიცემულს პოლკოვნიკ ბერსის ოჯახს.
პოლკოვნიკ ბერსი იყო ქალაქის უფროსი
(градоначальник), ცოლად ჰყვანდა სიმშვე-
ნიერით განთქმული აწ განსვენებული ტურ-
ფა ფატი, გურული ერისთავის ასული. ბ.
ბერსი საზოგადოდ დიდის ყურადღებით იყო
ჩვენთან, როგორც ადმინისტრაციის წარმო-
მადგენელი. ყოველი ჩვენი თხოვნა ამ მხრივ
დაუყოვნებლივ შესრულებოდა ხოლმე. ეს
პატიოსანი სახლობა ყველა ჩვენს წარმოდ-
გენებს ესწრობოდა და ორჯულ დიდი ნა-
ღიმიც გადაგვიხადეს. თითონ ბერსი და მი-
სი ნარნარი მუდღე სათითაოდ ჩამოგვიფ-
ლიდნენ და მოწიწებით გვთხოვდნენ დიდს
და პატარას პატივი გვეცა და სანადიმოდ
მისულიყავით იმათთან. თქმა მეტი იქნება,
როგორც ისინი ჩვენ დაგვხდებოდნენ და
გავგვიასპინძლებოდნენ ხოლმე.

ასე და ამ გვარად მოვიარეთ ბათუმი:
ყველგან გულთბილი დახვედრა, ყველგან
გულწრფელი სიმპატი; თეატრი მუდამ სავ-
სე და აღტაცებული სიამოვნება საზოგა-
დოებისა დროც მოგვივიდა დაბრუნებისა.
ჯერ ერთი, რომ ორიოდ დაბა კიდევ დაგ-
ვჩა სახაზი, და მეორეც, ადრე უნდა დაგ-
ბრუნებულიყავით ქალაქში, დაგვინავებუ-
ლიყავით, დავლაგებულიყავით და დროზედ
გავგესნა სამუდამო სცენა, ე. ი. დაგვეწყო
სეზონი ენკენისთიდან.
ერთ დილას ჩავიბარეთ და გამოველით
ნავთ-სადგურზე. გამომცილებელი აუარებე-
ლი გვყვანდა. შემდეგ ჩვეულებრივის გა-
მოთხოვნისა, ჩავსდით ნავებშია და გავ-

პრინცესა ევდოკისა. ხმა სასიამოვნო აქვს,
მხოლოდ როგორც ვერ ეხერხება სცენა-
ზე მოძრაობა. ერსტი, როგორც ყოველ-
თვის, კარგი იყო, მხოლოდ მისი სხეუ-
ლი ხმა უფრო გამკრთალდა და მისი სილამა-
სა და ხმასთან. საზოგადოდ ამ ოპერამ
კარგად ჩაიარა.

კავკასიის მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ საზოგადოების კრება.

კვირას, 25 თებერვალს, სამოსამართლო
პალატის სადგომში, პალატის უფროს თავ-
მჯდომარის ს. ბ. ვრასკის თავმჯდომარეო-
ბით, შესდგა კრება კავკასიის მცირე წლო-
ვან დამნაშავეთა ახალშენის დამხმარებელ
საზოგადოებისა. კრებას პირველად წარე-
დგინა განსახილველად საზოგადოების გამ-
გეობის წარსულ 1900 წლის მოქმედების
ანგარიში. როგორც ანგარიშიდან სჩანს,
გამგეობას საანგარიშო წლის განმავლობა-
ში ჰქონია 21 სხდომა და გაურჩევია 191
საქმე. გამგეობას უმთავრესი ყურადღება
მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ განე-
მტკიცებინათ პატარა დამნაშავეთა გულში
მნიშვნელობა კეთილშობილურ შრომისა
და ამიტომაც ცდილობდნენ ბავშვები შრო-
მისათვის მიეჩვიათ და სხვა-და-სხვა დროს
შერჩევით—სამუშაოებისა თუ გასართობის მი-
წოდებით—ავცილებინათ მათთვის ცუდად
და უდროვო დროს თამაშობა-ლაზღა-
რობანი; ავკალოს ახალშენში მეტად შე-
ვიწროებულ მდგომარეობაში იყვნენ შარ-
შანდლამდე საკმარისი უბინაობისა გამო;
ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია
საზოგადოების საპატიო წევრს ა. ი. მან-
თაშევს და ახალშენისათვის თავისი ხარჯით
აუშენებია ორ-სართულიანი სრული შე-
ნობა, სადაც ამ ჟამად მოთავსებულია ახალ-
შენის დირექტორ-მასწავლებელთა და აღ-
მზრდელთა ბინა, სამხარეულო, 100 კა-
ცისათვის სამკაფი სასადილო დაბაზი
და სხვა. ამ შემწეობით, რომელიც 25,000
მანეთამდე დაუჯდა მანთაშევსა შეძლება
მისცა საზოგადოებას თუ აქამდე ავკალოს
მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორე-
ბელ ახალშენში ძლივს 60 მოსწავლეს
ათავსებდნენ, ეხლა 100 კაცამდეც დას-
ტიონ. რომ უფრო მკვიდრ ნიადაგ-
ზე დამყარონ ბაღოსნობა-მეზობტნეობის

სწიეთ ორთქლ-მაგალისკენ, რომელიც ნა-
პირიდან ორასი საყენის მანძილზედ იდგა
ზღვაში. უკან დაგვედევნენ რამდენიმე ნავი
ჩვენი ძვირფასი მასპინძლებით ჟივოლ-ხი-
ვლით და მაღალი სიცილ-ხარხარით. ვის
უშველებელ შამფურზედ აგებული შემწვარი
ბატკანი და სუკები ეჭირა ბაირადებივით,
ვის დიდი ღოჭები (კოკები) ღვინითა, ვის
ტაბლაკი სხვა და სხვა საუზმით და უცხოე-
ლი სასმელებით. ამ ამბით მიველით გემის
კიბესთან (ამ ხელათაც კიდევ ჩვენი ნაცნო-
ბი „ბაბუშკა“ შეგვხვდა) და გავაკეთეთ წრე.
დაიწყა ხელმეორედ გამოთხოვება და გზის
დალოცვა და საზოგადო სადღევძელობები. ამ
გაცილების მოთავენი იყვნენ განსაკუთრებით
ქართველი აფიცრობა: სოლომონ აბდუშელი,
თ. თ. ვაჩანაძე, კორინთელი და სხვები,
რომელნიც არ მახსოვს და არც მას აქეთ შემ-
ხედრიან. ერთი თხოუმეტი წუთი გაჩერდით
გემის ძირში და სადღევძელობითა და სიმ-
ღერით ვიჯერეთ გული. ბოლოს გემიდან
მოგვცეს ნიშანი და ავცოცდით გემის კან-
კალა კიბეზედ. დაიძრა გემი და პავრი აიგ-
სო მაღალის ხმაურობითა, „გაშას“ ძახილით,
ქუდებისა და ხელსახოცების პიერში ტრია-
ლით ვშორდებოდით ერთმანეთს ჩვენ და
ჩვენი ტკბილი მასპინძლები. დიდს მანძილზე
მოგვედევნენ უკან ჩვენი გაცილებლები...
მაგრამ გემმა უცბად გაიფართოვა, გედი-
ვით გაიქცემა ზღვა და ჩვენი „ბაბუშკა“ შე-
ერია დაუსრულებელ ზღვის ტალღებში...
ცოტ-ცოტათი და მალე სრულიად თვალი-
დან მიგვეფარა ჩვენი ძვირფასი ხალხი.

ა. ცაგარელი
(შემდეგი იქნება)

სწავლა, ისე რომ ახალშენიდან გამოსვლის დროს მცირე წლოვან დაშინებულებამ მოწმობა მიიღო მებაღე-მეზღვრისა, საზოგადოების გამგეობას შუამდგომლობა აღუძრავს მოწმობა-მოქმედების სამინისტროში, რათა ნება დაერთოთ ავკალის ახალშენში საბაღოსა და სასწავლებლის გამართვისა; მაგრამ სამინისტროს შეუძლებლად უცნია ამ შუამდგომლობის დამატებითი იმ მოსაზრებით, რომ ტფილისში უკვე არსებობს საბაღოსა და სასწავლებელი. გამგეობას აგრეთვე უთხოვია ნიკიტის საბაღოსა და სასწავლებლის მართვისათვის მიეღოთ ამ სასწავლებელში ის მცირე წლოვანი დაშინებულებები, რომელნიც ავკალის ახალშენში ათავებდნენ ვადას; ამაზე ნიკიტის სასწავლებლის გამგეობას შემოუთვლია, რომ ეს ყოველად შეუძლებელი იქნება, რადგანაც მცირე წლოვან დაშინებულებათა ამ სასწავლებელში მიღება მეტად ცუდს შედეგებს იქონიებს სკოლის მოსწავლეთა ცხოვრებაზე. ახალშენში მებაღეობა-მეზღვრეობისა და ხეების მოვლა გაშენების საქმეს აფერხებდა აქამდე ის გარემოება, რომ ახლო სარწყავი წყალი არა ჰქონდათ; ამისათვის გამგეობა შესდგომა იქვე მდინარე მტკვრიდან აეყვანათ წყლის მილი და ნახევრად კიდეც შეუსრულებია მიზანი, გაუმართავს რეზერვუარი, რომელიც 70,000 ვედრა წყალს იტევს; წყლის მილის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა შეუდგენია საზოგადოების წევრს ინჟ. ბაშმეტევს უსასყიდლოდ; ამ ჟამად გამგეობა აშენებს წყლის საქაჩე მანქანის მოსათავსებელ სადგურს და, თუ შეძლება ექნა, გამგეობა იქვე მოაწყობს საქმეს, ისე რომ ახალშენს წმინდა სასმელი წყალიც მიაწოდოს. საზოგადოების გამგეობას ყურადღება მიუქცევია საზოგადოდ ბავშვთა ზნე-ხასიათის გაუმჯობესებისათვის და, მიუღია-რა სახეში, რომ მუსიკას დიდი გავლენა აქვს ხასიათის მორბილება გაპატრონებაზე, განუზრახავს სასწავლებელში მუსიკის შემოღება; შეუძენია კიდეც მუსიკა ხოროსათვის და დაუქირავებია სპეციალისტი მასწავლებელი ჩარნეცკი.

გამგეობა თავისი ვრცელ მოხსენებაში აცხადებს, რომ თუმცა 1901 წლის 1 იანვრისათვის წასული წლის ხარჯის მონარჩენი 4 1/2 ათასი მანეთი გვაქვს, მაგრამ მაინც ბევრი ფული გვჭირდება ჯერ კიდევ, რათა სასურველსა და უფრო მკვიდრს ნიადგზედ დავაყენოთ ახალშენის საქმე ავკალაში; საჭიროა სახელოსნოს სადგური, საჭიროა ეკლესია, საჭიროა მუდმივი წყარო ახალშენის შესანახად და ამაზე იმდენი ფული გვჭირდება, რომ საზოგადოების დაუხმარებლად ძნელად თუ განვახორციელებთ ჯერ კიდევ ბევრს ახალშენისათვის განუზრახულს საქმეებს.

1900 წლის პირველ იანვრისათვის ავკალის ახალშენში ყოფილა 48 მოსწავლე; წლის განმავლობაში მომატებია 23, ხოლო ახალშენში ყოფნის ვადა გაუთავებია 12, ასე რომ ამჟამად სასწავლებელში 59 მოსწავლეა; ამათგან აზნაური 2, ვაჟის შეილი—1, მოქალაქენი 19, გლეხი—33, ჯარის კაცის შეილი—3, უცნობი—1; ქალაქის მცხოვრები—25, სოფლის მცხოვრები—33, უცნობი—1, მართმადიდებელი—37, გრიგორიანი—15, მაჰმადიანი 5 და ებრაელი—2. ცუდი ყოფაქცევისათვის მოთავსებულია ახალშენში 3 ბავშვი, ქურდობისათვის—51, დაქრამკვლელობისათვის—3, ხეტიალისათვის—1. ასწავლიან შემდეგს ხელობებს: მეგრელობას, ღურგლობას, მებაღეობას, წიგნების კაშვას. ახალშენიდან გამოსული 3 ეხლა თავისუფალი ხელოსანია, ხოლო 9 კაცი გაიგზავნა თავის დედამასთან; საანგარიშო წელს გამგეობას ნაგარაუდები ჰქონია 24,922 მან. შემოსავლი, ხოლო ნამდვილად შემოსულია 24,980 მან. 64 კაპ., გასავალ ხარჯად დანიშნული ყოფილა

24,722 მან, ხოლო დახარჯვია 20,431 მ. 48 კაპ. ამის შემდეგ საზოგადოებას წარედგინა აგრეთვე ამა 1901 წლის შემოსავალ გასავლის ხარჯთაღრიცხვა. შემოსავალი იქნება: წასულ წლის მონარჩენი—4,549 მ. 16 კაპ., საწევრო გარდასახადი 1000 მან., ყულაბებით შეკრებილი—1225 მან., ბავშვების შრომისათვის 180 მან.; ჯარიმის ფულები—6,500 მან., საპრობილეთა კომიტეტისაგან—4,750 მან., შემოწირულებანი—5,000 მან., სულ 25,424 მან. 16 კაპ.: რადგანაც წელს ახალშენის თითქმის ყველა მოსამსახურე პირებს მოემატად ჯამაგირები და ამასთან ბევრი სხვა გარეშე ხარჯიც ექნება საზოგადოებას, ნაგარაუდებია გასავალი სულ 25,374 მანეთამდე. საზოგადოებამ დაამტკიცა ანგარიში და მდლობა გამოუცხადა გამგეობას ნაყოფიერი მოქმედებისათვის.

სასამართლო

(კორესპონდენცია პეტერბურგიდან)

21 თებერვალს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში გაიჩნა საქმე ზაქათაის ოლქის საოლქო იურის ნაწილის უფროსის კაპიტანის ნ. მერკულოვისა. თავჯდომარეობდა სენატორი რეზინსკი, ბრალმდებლად იყო ობერ პროკურორის ამხანაგი გუბსკი, დამცველად ნაფიცი ვეკილი ლ. ვ. განტოვერი.

კაპიტანი ნიკ. მერკულოვი 20 წლის განმავლობაში იყო ზაქათაის ოლქის ერთ-ერთ ნაწილის უფროსად და მიცემულ იქმნა სამართალში, რადგანაც დაბრალდა ყალბობის ჩადენა, სახელმწიფო ფულების გაფლანგვა და მცხოვრებთაგან ქრთამის აღება. ტფილისის სამოსამართლო პალატამ გააჩნა ეს საქმე და დამნაშავედ იცნო მერკულოვი გაფლანგვაში; სახელმძღვრ. მას დაბრალდა 512 მანათისა და 2 კაპ. დახარჯვა, რომელიც შემდეგ ისევ შეიტანა ხაზინაში, და აგრეთვე ქრთამის აღება. პალატამ გადაუწყვიტა მას ტობოლის გუბერნიაში გადასახლება საცხოვრებლად. პალატა დაეფუძნა რევიზიასა და მოწმეების ჩვენებას. აღმოჩნდა, რომ მერკულოვი საზოგადოებათა ფულებს თავის საჭიროებისთვის ხარჯავდა და სოფლებს „დროებით კვიტანციებს“ აძლევდა; როდესაც იგი გადაჰყავდათ ჯარობელაქნის ოლქში, შეაგროვო საპატიო სოფელნი და სთხოვა მათ—შეკრიბეთ ფული და მიყიდეთ მომგებიანი ბილეთი, რაც სოფლელებმა აღასრულეს და 210 მან. შეუგროვეს; შემდეგ, როდესაც ზაქათაის ახლო ადგილი შეიძინა იჯარით და დასახლარება მოინდომა, სთხოვა სოფლელებს ხარი და ძროხა შემოამაწეთო; სოფლელებმა მაშინვე მიჰგვარეს საქონელი; გარდა ამისა უფასოდ უზიდავდნენ „ახალშენებს“ თავიანთ საქონლით ხე-ტყესა და ქვას. დამნაშავემ პალატაში უარყო ყველა ბრალდება და ახსნა, რომ, მართალია, მცხოვრებნი მას პატივს სცემდნენ და ფულიც შეუგროვეს და საქონელიც აჩუქეს, მაგრამ მან, მერკულოვმა, ყველაფერზე უარი უთხრა. რაც შეეხება რევიზიასა და მოწმეების ჩვენებას, ეს სულ ინტრიგის ბრალია, რადგანაც 1897 წელს დანიშნული ზაქათაის ოლქის უფროსად ბ. იაზიკოვი გადაამეტრა.

ბრალმდებელმა მოითხოვა პალატის განაჩენის დამტკიცება, ხოლო დამცველმა, უჩვენა რა სენატს, რომ მოწმეების ჩვენება ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მოითხოვა ბრალდებულის სრული გამართლება. ბოლოს სიტყვა თვით მერკულოვმა სიტყვა, რომელიც, სხვათა შორის, აღნიშნა: 20 წლის სამსახურის განმავლობაში მე პატიოსნად ვმსახურებდი, არავის არაფერი შეუმიწევია, ხოლო თუ ბოლო წლებში ამხიბდნენ, ეს სულ ინტრიგა იყო; რაც შეეხება მოწმეებს, ესენი სულ მტრობით მიგონებენ,

რადგანაც 20 წლის განმავლობაში მე ვდევნიდი ქურდებსა და ავაზაკებს და ბევრი გადამეტრა; გარდა ამისა, მე ენერგიულად ვავრცელებდი მართლ მადიდებლობას, როგორც წევრი კავკასიაში მართლ მადიდებლობის აღმადგინებლის საზოგადოებისა და ამიტომ გადამეტრენ მაჰმადიანი ფანატიკოსები.

სენატმა არ შეიწყნარა მერკულოვის აპელაცია და, ორის საათის თათბირის შემდეგ, გამოიტანა განაჩენი, რომლით დაამტკიცა ტფ. პალატის დადგენილება, მხოლოდ გადასახლება შეუცვალა 8 თვით საპატიმროში დამწყვედვით.

სალამოს დებეშები

26 თებერვლი

პატიმარბი. საერო განათლების მინისტრის ბოგოლუბოვის ავადმყოფობის ბიულეტენი: „სიცხემ უმატა 24 თებერვლიდან და სალამოთი 39,5-მდე ავიდა, მაჯა სალამოთი 96, სუნთქვა 18, დამე ავადმყოფი შემოთავაზებული იყო და სიცხეში არეულად ლაპარაკობდა; დილით სიცხე 39,1 ჰქონდა, დღისით 39,7, მაჯა 92, სუნთქვა 16. ყოველს არ უშლის და სუნთქვა თავისუფალი აქვს სიცხის მომატებას და საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას კავშირი აქვს იმ გარემოებასთან, რომ ტყვიით გაჭრილ ადგილში ავადმყოფს ანთება გაუჩნდა.

უმაღლესის ნებართვით შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: „გაზეთ „გრაფდანი“-სათვის 1888 წ. 16 აგვისტოს, 1893 წ. 29 იანვარს და 1896 წ. 5 ოქტომბერს გამოცხადებული გაფრთხილებათა მნიშვნელობა გაუქმებულ იქნეს“.

ვახუშტის. გადაჭრით უარსა ჰყოფენ იმ ამბავს, ვითომ ინგლისის წინადადება მიეცეს ამერიკისთვის თანახმად იმოქმედონ, რომ აიძულონ რუსეთი მანჯურია ჩინეთს დაუბრუნოს. რუსეთის ელჩი აცხადებს, რომ, რუსეთი იმავე აზრს ადგას, რომელიც 13 აგვისტოს გამოსთქვა, როდესაც მან, ელჩმა, სიტყვა, რომ დამყარდება თუ არა მანჯურიაში წეს რიგი და დასრულდება თუ არა ზომების მიღება რკინის გზის ლიანდაგზედ მუშაობების დასაწყებად, რუსეთი დაუყოვნებლივ გამოიყვანს ჯარებს მაჯურიდან, თუ რომ სხვა სახელმწიფოთა მოქმედებანი არ შეიქმნებიან დამაბრკოლებელ საგნად.

ბარლინი. შეერთებულ შტატების წარმომადგენელმა როკელიმა წინადადება მისცა ელჩთა კრებას შეიკრიბონ ხოლმე ყოველ დღე, რათა ჩქარა დამთავრონ საქმეები. ლიხენჰანგი ამბობს, რომ ყოვლის უწინარეს აუცილებლად საჭიროა დაუბრუნონ ჩინეთს ტაძარი ცისა და მიწა-მოქმედებისა, რათა დაცულ იქმნას ღირსება იმპერატორის სახლობისა, თუ იგი პეკინში დაბრუნდა. ელჩები ადგენენ გეგმას, რომლით იხელმძღვანელებენ საელიზები; კერძო პირების მოთხოვნებს, ზარალის ზღვევის შესახებ მხედველობაში მიიღებენ ნამდვილ დაკარგულ ქონებას და არა იმას, თუ რა მოგება დაეკარგა მათ არეულობის გამო.

მადრიდი. პორტუგალიის საზღვრიდან აქ მოსულ ცნობებიდან ჩანს, რომ ლისაბონში პოლიტეხნიკუმის მოწაფეებს მოუხდენიათ მანიფესტაცია იგუიტიტა წინააღმდეგ. პოლიციის მოხელენი ხმალ ამოღებულები შევიდნენ სასწავლებელში და დასკრეს რამდენიმე მოწაფე. მოწაფეთ მიჰმართეს დეპუტატთა პალატას წერილით, რომლით პროტესტს აცხადებენ საქმეში პოლიციის ჩარევისა გამო. ლისაბონში შეტურწუნებულნი არიან ამ ამბით. სტუდენტები თანაუგრძნობენ პოლიტეხნიკურ სკოლის შეგირდებს. პორტუგალიის ცენზურამ აკრძალა გამოქვეყნება იმ დებეშისა, რომელიც ამ საქმეს შეეხებოდა.

ბარლინი. ვალდერზე პეკინიდან იტყო-

ბინება: „ლედეურის რაჰმა“ 27-ე ვალს აიღო დიდი კედლის ალყაფის ბი, ანსულისის გასავლის რასაოლ პოტანფულან 1900 კილომეტრის სიგზედ დასავლეთით და ცენტრში შეიქმნა ბაზანი“.

შანჰაი. ლანჩოუდან იტყობინებ, რომ ტუანი, ტუფუსიანი და სხვა დამხმარე წარჩინებულნი ნინსიაში იმყოფებიან საწინააღმდეგოდ: ტუნფუ 20,000 კაცზე მეტი ჰყავს, ტუნს 10.000 მეტი. იმპერატორის კამისარი იმყოფება ნინსის გზაზე, სადაც მან უნდა გამოეხატოს დამნაშავეთა შესახებ განაჩენები იძულებულ ჰყოს დამნაშავენი დაემოწნენ უმაღლეს ბრძანებას.

მიუნხენი. იმპერატორმა ვილჰელმმა ბავარიის პრინცმა—რეგენტმა ერთი დებეშები გაუგზავნეს რეგენტის ოცნებებს წელს შესრულებას დღესასწაულობის ნიშნულად და მიუნხენში გერმანიის კროპანის გაგზავნის შესახებ, რადგან იმპერატორს არ შეუძლიან დაესწროს სასწაულს.

რედაქტორი გამომცემელი
ა. ჭეხნაძე. ა. ჭეხნაძე

გამოსაღები ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლები

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის სადგომიდან დასასრულად კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ქოში გადის კვირასში ერთხელ—თხზამთა დიდის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), საზაღვრის სადამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 პაქოდას ტფილისი სში გადის დიდის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.). ტფილისში ჩამდის სადამის 8 ს. 12 წ. 10 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 პაქოდას ტფილისი გადის დამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 15 წ.). ტფილისში ჩამდის ნაშუადღევს 5 ს. 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის სადამის 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 წ.). ბათუმში ჩამდის დიდის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბათუმიდან ტფილისი გადის ნაშუადღევს 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამდის დიდის 8 ს. 2 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დიდის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩამდის სადამის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისი გადის დიდის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩამდის სადამის 8 ს. 4 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან პაქოდას გადის სადამის 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.). პაქოდას ჩამდის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისი გადის სადამის 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.), ტფილისში ჩამდის დიდის 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან პაქოდას გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.). პაქოდას ჩამდის დიდის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ს. ფ. ი. ს. ს.

ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის ქუჩებში დარგული ხეები შეგინდნენ ქალაქის საკუთრებას და სახლის პატრონისა. (6. 3—)

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში

იყიდება ხეხილი:

ვაშლი, მსხალი, ალუბალი, ნიგოზი და სხვა საუკეთესო ჯიშისა. (3—)